

თორნიკე რამაზაშვილი

რუსეთის ჰიბრიდული ომი

ყველაფერი რაც უნდა ვიცოდეთ



თბილისი, 2020

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	3
"ჰიბრიდული ომის" განსაზღვრება.....	4
გერასიმოვის დოქტრინა.....	5
ვალერი გერასიმოვი.....	6
რატომ საქართველო?.....	7
ბოლო სიტყვაობა.....	8
გამოყენებული ლიტერატურა.....	9

წინასიტყვაობა

ქართული ანდაზა, რომლის მიხედვითაც, ცხვრებს, რომელთაც მთელი ცხოვრება მგლით აშინებდნენ ბოლოს „კეთილი მწყემსი“ ჭამს, ნათლად წარმოაჩენს ჰიბრიდული ომის ბუნებას, რომლის ბრძოლის მთავარი სამიზნე, თავად ადამიანთა გონებაა. მსოფლიოსთვის უკვე ნაცნობია საბჭოთა კავშირის სტრატეგია, რომლის მიზანი იყო მტრის ხატის შექმნის პროცესში მთელი რიგი სახელმწიფოებისთვის, არა მხოლოდ, დამოუკიდებლობის აღდგენის უფლების, არამედ სურვილის მოსპობა, ხოლო ამის საწინააღმდეგოდ ყოველთვის არსებობდნენ ინდივიდები, რომლებიც იბრძოდნენ დამოუკიდებლობის აღდგენისთვის და მასში ხედავდნენ სხვისი ბატონობის უარყოფას, არჩევანს საკუთარი თავის ბატონობისკენ.

მიუხედავად იმისა, რომ არც ადრე და არც დღეს სახელმწიფოებს არ ესაჭიროებათ წინამძღოლი მწყემსის სახით, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია ცდილობს ითავოს აღნიშნული როლი და დაასუსტოს სახელმწიფოები მანამ, სანამ ისინი ამას მიხვდებიან. ამავდროულად ექვექვემ დააყენოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის იდეა, ძირი შეურყიოს ამერიკის შეერთებული შტატების როლს მსოფლიო უსაფრთხოები უზრუნველყოფაში, დაამხოს პროდასავლური მთავრობები და ყოველივე ეს მოსახლეობის ხელით, მათივე გონებაზე მანიპულირების შედეგად.

მოლოდინი იმისა, რომ მგელი აპირებს მოსვლას, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში თავად „კეთილი მწყემსი“ აღმოჩნდება ხოლმე, ბადებს იმის საშიშროებას, რომ მოუმზადებლობა და არაინფორმირებულობა რეალურ სასიცოცხლო საფრთხეს უქმნის ცხვრების უსაფრთხოებას, რა თქმა უნდა, სახელმწიფო და ადამიანი ცხვარზე მეტია, ხოლო დღეს ინფორმირებულობა და ოპერატიულობა გადარჩენის ტოლფასი.

“ჰიბრიდული ომის” განსაზღვრება

კემბრიჯის უნივერსიტეტის ლექსიკონი ჰიბრიდულ ომს განმარტავს, როგორც ისეთი მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას მტერზე თავდასასხმელად, როგორც არის ყალბი ინფორმაციის გავრცელება ან/და შეტევა მნიშვნელოვან კომპიუტერულ სისტემებზე, ტრადიციული სამხედრო მოქმედებების ნაცვლად.

აღნიშნული ტერმინი ნამდვილად აქტუალურია მიმდინარე საუკუნისთვის და გარკვეულწილად სიახლეც. თუმცა გასულ საუკუნეებშიც გაიჟღერებდა ზოგადი იდეა, რომელიც ეხებოდა საბრძოლო მეთოდების ცვლილებებს. ამასთან დაკავშირებით იტალიელი ფილოსოფოსი იულიუს ევოლა (1898-1974) აღნიშნავდა, რომ ადამიანები აღარ ცხოვრობენ იმ ეპოქაში, სადაც კონკრეტული ერების გადაშენება ხდება ძალისმიერი და პირდაპირი ხერხების გამოყენებით. მაგალითად კი მოჰყავდა თურქეთის სულთნის მეჰმედ მეორის სიტყვები, რომელიც მან უნგრელ მხედართმთავარ იანოშ ჰუნიადის განუცხადა „საბოლოოდ თქვენი ქალების მუცლებით გაგანადგურებთ“, რაშიც იგულისხმა ეთნიკური მიზეზით გამოწვეული ფიზიოლოგიური სახეცვლილება.

ცხადია, რომ ეთნიკური ცვლილებები იმთავითვე არ ნიშნავს ღირებულებით ცვლილებებს, ხოლო დროის სვლასთან ერთად შეიცვალა კონფლიქტის ხასიათი და დაიხვეწა მიზნის მიღწევის მეთოდები. გლობალიზაციის ეპოქაში, ინფორმაციული გახსნილობა და მასობრივი ინფორმაცია ართულებს სიმართლის პოვნას, რომელიც ხელს აძლევს სახელმწიფოებს, რათა მოახდინონ ლავირება აღნიშნულ სიტუაციაში და ეფექტურად გამოიყენონ ინფორმაცია, როგორც ბრძოლის არასამხედრო იარაღი. ამ მხრივ, კრემლი აქტიურად იყენებს აღნიშნულ კონცეფციას და სწორედ ამიტომ არ არის გასაკვირი, თუ რატომ ახსენდებათ ადამიანებს „ჰიბრიდული ომის“ გაგონებისას რუსეთის ჰიბრიდული ომი და მისი გამოვლინებები საქართველოში, უკრაინაში, მოლდოვასა თუ სხვა ქვეყნებში.

გერასიმოვის დოქტრინა. 2014 წლიდან ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ დასავლეთის უსაფრთხოების ანალიტიკოსების ყურადღების ცენტრშია და მას შემდეგ როგორც ნატოს, ისევე ევროკავშირის დოკუმენტებშიც იჩინა თავი. რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროს ვალერი გერასიმოვთან არის დაკავშირებული ჰიბრიდული ომი. ის ავტორია გერასიმოვის დოქტრინის, რომელიც წარმოადგენს კრემლის სახელისუფლებო პოლიტიკას და რომლის მიზნებია

1. რუსეთის სამხედრო ძალისა და ჰიბრიდული ომის განმახორციელებელი საქმიანობის განუყოფელი კავშირი
2. ომისა და მშვიდობას შორის საზღვრის მოშლა, რომელიც გულისხმობს მუდმივად ომის მდგომარეობაში ყოფნას

უფრო მეტიც, გერასიმოვის დოქტრინა აღიქმება ძალისხმევად, რომლის მიზანია განავითაროს კონცეფცია, რომელიც უკავშირდება რუსეთის კონფრონტაციას დასავლეთთან და საფუძვლად უდევს რეალურ დოქტრინას, საუბარია ყოფილი საგარეო და პრემიერ მინისტრის ევგენი პრიმაკოვის დოქტრინასთან. აღნიშნული მოდელით კრემლის პოლიტიკა ხელმძღვანელობს უკვე ორ ათწლეულზე მეტია. პრიმაკოვის დოქტრინის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების დომინირება უნიპოლარულ სამყაროში მიუღებელია რუსეთის ფედერაციისთვის და საგარეო პოლიტიკის პრინციპებად აყალიბებს შემდეგს

- რუსეთი უნდა მიისწრაფვოდეს მრავალპოლუსიანი სამყაროს შექმნისა და მართვისკენ, რომლითაც შეძლებს ამერიკის შეერთებული შტატების ძალაუფლების კონტრბალანსირებას;
- რუსეთმა უნდა მოითხოვოს საკუთარი დომინანტი პოზიცია პოსტსაბჭოთა სივრცეში და გაუძღვეს შესაბამის ინტეგრაციულ პროცესებს რეგიონში;
- რუსეთმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ნატოს გაფართოებას.

ვალერი გერასიმოვი. ვალერი გერასიმოვი დაიბადა 1955 წლის 8 სექტემბერს, ქალაქ ყაზანში. 1997 წელს დაიწყო სამხედრო კარიერა ჩრდილოეთის ძალების ჯგუფთან ერთად. შორეული აღმოსავლეთისა და ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქებში მსახურობის შემდეგ, 1999 წელს გახდა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის არმიის შტაბის 58-ე უფროსი, ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებამდე ცოტახნით ადრე. ჩეჩნეთში ყოფნის დროს იგი პირადად მონაწილეობდა იური ბუდანოვის (ჯარის პოლკოვნიკი, რომელიც მოგვიანებით გაასამართლეს ჩეჩენი გოგონას მკვლელობაში) დაკავებაში. აღნიშნულმა ფაქტმა განაპირობა, ცნობილი რუსი ჟურნალისტის ანა პოლიტკოვსკაიას მიერ ვალერი გერასიმოვის დახასიათება, როგორც „ადამიანის, რომელმაც შეძლო შეენარჩუნებინა ოფიცრის პატივი“ ომის დროს.

ვალერი გერასიმოვი 2003-2005 წლებში იყო აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი. თანამდებობაზე ყოფნის დროს მიიღო მრავალი საყვედური წვევამდელებს შორის ავადმყოფობის მასობრივ გავრცელებაში. ითვლება, რომ ეს იყო ერთადერთი შავი ლაქა მის კარიერაზე. შემდეგ განაგრძო სამხედრო ოლქების მეთაურობა პეტერბურგსა და მოსკოვში, სანამ გენერალური შტაბის უფროსი მოადგილე გახდებოდა. თუმცა თანამდებობიდან გაათავისუფლეს, რომლის სავარაუდო მიზეზად სახელდება მისი დამაბული ურთიერთობა გენერალ მაკაროვთან.

2009 წლიდან ვალერი გერასიმოვი ხელმძღვანელობს მოსკოვში გამარჯვების დღის ტრადიციულ აღლუმს. 2012 წელს დაინიშნა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად. 2013 წლის 27 თებერვალს კი გაზეთ „სამხედრო-სამრეწველო კურიერში“ ქვეყნდება მისი სტატია კრემლის გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებასთან დაკავშირებით.

რატომ საქართველო ?

რატომ წარმოადგენს რუსეთის ფედერაციისთვის ძირითად სამიზნეს საქართველო, უკრაინა, მოლდოვა და სხვა სახელმწიფოები? საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის გავლენა მეტნაკლებად შესუსტდა, მის მიზანს კი წარმოადგენს აღიდგინოს გავლენის სფეროები აღნიშნულ ქვეყნებში, ამაში კი ხელს უწყობს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნოსტალგია და ის სტრუქტურები, რომელიც ატარებს საბჭოთა ძალადობრივ ხასიათს. დროული იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ მიმდინარე კონფლიქტის კონტექსტში, კრემლისთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ზოგადად თავისუფალი სამყარო, დემოკრატიული ღირებულებებითა და ლიბერალური იდეოლოგიით, რომელსაც ესწრაფვიან მთელი რიგი სახელმწიფოები და ცდილობენ გახდნენ ევტროატლანტიკური ინტეგრაციის ნაწილი.

ბუნებრივია, რომ ატლანტიკურ უსაფრთხოებას გააჩნია საკუთარი სისუსტეები, რომელსაც იყენებს რუსეთის ფედერაცია საკუთარი მიზნების სასარგებლოდ, ხაზგასასმელია გადაწყვეტილების მიღების პროცედურა და იმპლემენტაცია, რომელიც დროში გაწელილია, ხშირ შემთხვევაში კი შესაძლოა არსებულ გამოწვევებს რთულად გაუმკლავდეს. რაც შეეხება ყირიმის საკითხს, უკრაინის ინსტიტუტების სისუსტე სახელდება ერთ-ერთ მიზეზად, რის გამოც რუსეთმა მოახდინა ანექსია. საერთო კონტექსტში, რუსეთის ჰიბრიდული ომის ეფექტურობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- დაკარგული გავლენების აღდგენის მცდელობით პოსტსაბჭოთა სივრცეში;
- ქვეყნებში შექმნილი პოლიტიკური დესტაბილიზაციით;
- შიშის, უიმედობის და უნდობლობის გაღვივებით მოსახლეობაში;
- საზოგადოების პოლარიზების ხელშეწყობაში;
- საარჩევნო პროცედურებში მაქსიმალური ჩარევით;
- არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა სატელიტების მეშვეობით მართვით.

ბოლოსიტყვაობა

რუსეთის ფედერაციამ ჰიბრიდული ომისა და რუსული სამხედრო ძალის მეშვეობით თავს დაესხა საქართველოს 2008 წელს, ხოლო უკრაინას 2014 წლიდან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გერასიმოვის დოქტრინა წარმოადგენს რუსული ჰიბრიდული ომის არა ერთადერთ, არამედ ერთ ნაწილს და რუსეთს უკვე დიდი ხნის წინ ჰქონდა შემუშავებული აღნიშნული კონცეფცია. ფაქტია, რომ ვალერი გერასიმოვი დიდად არ განსხვავდება საკუთარი წინარმობედებისგან.

ჰიბრიდულ ომში გადამწყვეტ როლს თამაშობს საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ომი, რომლის სამიზნე აუდიტორიას თავად ადგილობრივი მოსახლეობა წარმოადგენს. დეზინფორმაციის გავრცელება, საბჭოთა ნოსტალგია, ანტიდასავლური პროპაგანდა, ულტრამემარჯვენე ძალების გააქტიურება, ევროატლანტიკური ინტეგრაციებისადმი სკეპტიციზმი, ნეიტრალიტეტი, ერთმორწმუნეობა, ანტითურქული ნარატივი წარმოადგენს იმ საკითხებს, რომელიც ერთბაშად დაატეხა თავს საქართველოს რუსეთის ფედერაციამ.

პრობლემა, ნამდვილად კომპლექსურია, ერთადერთი გზა, რითაც შეიძლება სახელმწიფო გაუმკლავდეს ჰიბრიდული ომის გამოწვევებს, ვფიქრობ არის საკუთარი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება/დროული ინფორმირება და შესაბამისი ეფექტური და ოპერატიული სტრატეგიის შემუშავება.

ეს არის ახალი ტიპის ომი, რომელიც მიმდინარეობს ადამიანების გონებაში, ეს არის ომი, რომელშიც ჩაბმულია თითოთეული ჩვენთაგანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „ჰიბრიდული ომი და ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება“, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“, თბილისი, 2016 წელი.
2. „რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში“, გვანცა აბდალაძე, თბილისი, 2020 წელი.
3. „საქართველოში რუსეთის დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან გამკლავება“, გამომცემლობა „ვარშავის ინსტიტუტი“, 2018 წელი.
4. <https://idfi.ge/public/upload/Meri/Russian%20Propaganda%20in%20Georgia%20-%20Policy%20Paper.PDF>
5. <https://gsac.ge/wp-content/uploads/2019/05/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90.pdf>
6. <https://www.bbc.com/news/world-europe-20270111>
7. <https://carnegieendowment.org/2019/06/05/primakov-not-gerasimov-doctrine-in-action-pub-79254>